2 - 2.6 წლის ასაკამდე ზმნის განვითარება in-put output-ზე დაყრდნობით, ტიპური განვითარების მქონე; 2 ქართულენოვანი ბავშვის მაგალითზე

ანა ყოჩაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

სარჩევი

აბსტრაქტი.....2

Abstract.....3

კვლევის სიახლე და აქტუალობა.....4

ლიტერატურული მიმოხილვა.....5

რა არის ენა?.....5

ენის ათვისება.....7

Input-ის და out-put-ის როლი ენის და ზმნის ათვისების პროცსში.....10

ზმნა. ზმნის ათვისება.....13

ებრაული ზმნის ათვისება.....14

კვლევის მეთოდები 17

შერჩევა 17

კვლევის პროცედურა 17

კვლევის დიზაინი 18

კვლევის ცვლადები 19

შედეგები 19

დისკუსია 29

კვლევის შეზღუდვა 31

შეჯამება 30

ლიტერატურული მიმოხილვა 33

აბსტრაქტი

ენის ათვისებას ბავშვი დაბადებიდან იწყებს და თანმიმდევრულად გადის შესაბამის სტადიებს. ენის ათვისება არის პროცესი ენის input-იდან ენის output-მდე. Input არის ენის ათვისების წინაპირობა, ხოლო output არის მიზანი. Input ეხება დასამუშავებელ ენას, რომელსაც ბავშვები ეცნობიან მოსმენის ან კითხვის დროს (ანუ რეცეპტული უნარები). Output არის ენა, რომელსაც ისინი აწარმოებენ, როგორც საუბრის, ისე წერის დროს (ანუ პროდუქტიული უნარები) (Xiaochen Liu, 2022). Input-ი მოდის მშობლებიდან, ნათესავებიდან, თანატოლებიდან და ზოგადად სოციალური გარემოდან, რომელიც ბავშის ენობრივი სტრუქტურის განვითარებაში მონაწილეობს.

ენის ათვისების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ზმნის ათვისებაა. ზმნის ფორმირება ერთ-ერთი რთული და ხანგრძლივი პროცესია. ზმნა არის ადამიანის ენების ცენტრალური ლექსიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს ურთიერთობებს ინდივიდებს, ობიექტებსა და ტერმინებს შორის (Schachter, 1985). ზმნის ათვისების შემთხვევაშიც მშობლის input-ი გადამწყვეტია. ბავშვი ახალ ზმნურ ფორმებს ავითარებს მმშობლის/აღმზრდელის input-დან გამომდინარე.

კვლევის მიზანი იყო, გამოავლინა მშობლის მიერი გამოყენებული Input ზმნური ფორმების გავლენა 2-2.6 წლის ასაკის ორი ქართულენოვანი ბავშვის მეტყველებაში, 14 საათიანი ტრანსკრიპტირებული ვიდეო მასალის ანალიზის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა 2-2.6 წლამდე ასაკის ქართულენოვან ბავშვებთან მშობლის Input ზმნური ფორმების გავლენა მათ მეტყველებაში. მშობლის რაოდენობრივად ხშირი Input ზმნური ფორმები გვხვდება ბავშვის რაოდენობრივად ხშირ Output ზმნურ ფორმებში.

საკვანძო სიტყვები: ენის ათვისება, Input, Output, ზმნის ათვისება.

Abstract

A child starts acquiring language from birth. Language acquisition is a process from language input to language output. In SLA, input is the premise, the output is the purpose. Input refers to the language to be processed that children are exposed to during listening or reading (ie, prescriptive skills). Output is the language they produce, both speaking and writing (i.e. productive skills) (Xiaochen Liu, 2022). Input comes from parents, relatives, peers, and the general social environment that contributes to the development of a child's language structure.

One of the important components in the language acquisition process is verb acquisition. Verb formation is a complex and long process. The verb is a central lexical category of human languages that expresses relationships between individuals, objects, and terms (Schachter, 1985). Parental input is crucial even in the case of verb acquisition. The child develops new verb forms depending on the input of the parent/caregiver.

The aim of the study was to reveal the influence of input verb forms used by parents in the speech of two Georgian-speaking children aged 2-2.6 years, based on the analysis of 14 hours of transcribed video material. As a result of the research, the impact of parent's Input verb forms in their speech with Georgian-speaking children aged 2-2.6 years was revealed. Quantitatively frequent Input verb forms of the parent are found in quantitatively frequent Output verb forms of the child.

Keywords: Language acquisition, Input, Output, Verb acquisition.